საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№62/16 „18“ მაისი 2016 წ.

მოქალაქე იციკ მოშეს.

ტექნიკური დასკვნა ქალაქ თბილისში, ჯამბულის ქუჩა №5, ვირსალაძის ქუჩაზე №8 და №10 სახლებს შორის პორექტირებადი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის შესაძლებლობისა და საპროექტო შენობის გავლენისა ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებზე.

ქალაქ თბილისში, ჯამბულის ქუჩა №5, ვირსალაძის ქუჩაზე №8 და №10 სახლებს შორის A=327მ.$^2$ ფართობის მქონე არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ№01.15.04.008.030), ფიზიკური პირის მოქალაქე იციკ მოშეს მიერ, დაგეგმილია ხუთ სართულიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რისთვისაც წარმოდგენილია არსებული და საპროექტო შენობების ფოტომონტაჟი. საპროექტო სახლი უშუალო მახლობლობაში იქნება ვირსალაძის ქუჩა №10-ში მდებარე თანამედროვე მოთხოვნების მიხედვით აგებულ კარკასულ, ნაწილობრივ ოთხ და ნაწილობრივ ხუთ სართულიან შენობასთან, ფაქტიურად მისგან გამოყოფლი იქნება ანტისეისმური ნაკერით. №8 საცხოვრებელი სახლი სავარაუდოდ აგებულია გასული საუკუნის 60-ან წლებში. იგი მზიდ კედლებიანია, №8 და №10 შენობებს შორის მანძილი 12მ.-ია. მანძილი საპროექტო შენობიდან №8 საცხოვრებელ შენობამდე მანძილი, 6.0მ.-ია. ამას გარდა

საკითხის შესახებ შ.პ.ს. „მონოლითი“ გაცნობებთ, რომ წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით, მშენებლობა შესაძლებელია, რისთვისაც უნდა დამუშავდეს პროექტის კონსტრუქციული ნაწილი. იმისათვის, რომ საპროექტო შენობამ არ იქონიოს უარყოფითი ტექნიკური ზეგავლენა №8 და №10 შენობებზე, საჭიროა ჩატარდეს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიება და ახალი შენობის დასაძირკვლება გადაწყდეს გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების საფუძველზე. ამას გარდა აღასნიშნავია, რომ №8 საცხოვრებელი სახლის მომიჯნავედ მდებარეობს

პავილიონის ტიპის სავაჭრო ჯიხური, რომელიც უნდა დემონტირდეს. ჯიხური აგებულია ფოლადის მსუბუქი კონსტრუქციების საშუალებით და მისი დემონტაჟი არანაირ უარყოფით ტექნიკურ ზეგავლენას არ გამოიწვევს ირგვლივ მდებარე შენობა-ნაგებობებისათვის.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/